საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტრო
საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების
სააგენტო

ს/კ **202178927**

MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

Legal Entity of Public Law

SOCIAL SERVICE AGENCY

KA030456761682616

საქართველო, თბილისი 0119; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

№ 04/87067 **28** / ნოემბერი / **2016 წ.**

საქარველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის
უფროსს ქალბატონ ნინო ოდიშარიას

ქალბატონო ნინო,

თქვენთვის ცნობილია, რომ „აბონენტების მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 25 აგვისტოს N418 დადგენილების საფუძველზე, მაღალმთიან დასახლებებში არსებული აბონენტებისთვის გარკვეული სოციალური შეღავათის გავრცელების მიზნით, სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს, სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და ელექტროენერგიის განაწილების შესაბამის ლიცენზიანტ(ებ)ს აკისრიათ, კომპეტენციის ფარგლებში, გარკვეული საკითხების უზრუნველყოფის ვალდებულება.

ზემოაღნიშნული დადგენილების მიზნებიდან გამომდინარე, ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიანტებმა უნდა უზრუნველყონ „მაღალმთიან დასახლებებში არსებული აბონენტების (საყოფაცხოვრებო მომხმარებლები) შესახებ გარკვეული ინფორმაციის (აბონენტის ნომერი, პირადი ნომერი, გვარი) სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის წარდგენა.

ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიანტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია სავალდებულოა შეიცავდეს ზემოაღნიშნულ მონაცემებს, რათა სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტომ მოახდინოს მისი შედარება სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს „მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრებ პირთა რეესტრთან“.

საკითხთან დაკავშირებით, სააგენტოში შემოსულია სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ 2016 წლის 17 ოქტომბრის N2218782 (N106937, 18.10.2016 წ.) და 2016 წლის 15 ნოემბრის N2219541 (N117362, 17.11.2016 წ.) წერილები, რომლებითაც ლიცენზიანტი გვაცნობებს, რომ მათ მონაცემთა ბაზებში არსებული დასახლებული პუნქტების დასახელებები არ შეესაბამება საჯარო რეესტრის დამისამართების სისტემას, მათ ბაზებში არსებული პუნქტების საზღვრები არ ემთხვევა ოფიციალურ საზღვრებს, აბონენტთა ბაზის გარკვეულ ნაწილში არ არის დაფიქსირებული მომხმარებლის მონაცემები (პირადი ნომერი, სახელი, გვარი) ასევე, საჭირო მონაცემების დიდ ნაწილს ლიცენზიანტი არ ფლობს ან არაზუსტია, არსებობს მნიშვნელოვანი ხარვეზები, რის გამოც მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებმა პირებმა შესაძლოა ვერ მიიღონ ზემოაღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებული სუბსიდია.

სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს, პრობლემური საკითხების გადაწყვეტის მიზნით შედგეს სამუშაო შეხვედრები და მონაცემების მოწოდების პირობებთან დაკავშირებით, მხარეებს შორის გაფორმდეს შეთანხმება (მემორანდუმი/ხელშეკრულება). აღნიშნულის თაობაზე ეცნობა შესაბამის ლიცენზიანტებს.

გიგზავნით, სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ 2016 წლის 17 ოქტომბრის N2218782 (N106937, 18.10.2016 წ.) და 2016 წლის 15 ნოემბრის N2219541 (N117362, 17.11.2016 წ.) წერილებს. გთხოვთ, გაითვალისწინოთ.

დანართი: 2 (ორი) ფაილი

პატივისცემით,

დირექტორის მოადგილე თენგიზ აბაზაძე